

ვებ ინარი - შეაჩერე COVID 19

თარიღი: 27.03.2020

დარგის სპეციალისტთა საერთაშორისო საკოორდინაციო ჯგუფი

შეაჩერე COVID 19

ექთნების ხმა ლიდერობისთვის

ექთანი 2020

ვებ ინარის საორგანიზაციო ჯგუფი:

პარტნიორი საერთაშორისო ორგანიზაციები:

ICN -საერთაშორისო საექთნო საბჭო - პრეზიდენტი ანეტ კენედი;

WHO - მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია - მთავარი ექთანი- ელიზაბეტ აირო;

NURSING NOW –Global Nursing - ექთნები დღეს - აღმასრულებელი დირექტორი - ბარბარა სტილ ველი;

საინიციატივო ჯგუფი - საქართველოს პროფესიული / დარგობრივი გაერთიანება:

ა(ა) იპ ექთანთა გაერთიანება - დამფუძნებელი/აღმასრულებელი დირექტორი - ია გელენიძე;

ქართველი ექთნებისა და მათი კოლეგების დაცვა ჩვენი მთავარი პრიორიტეტია!
იტალიაში ჯანდაცვის მუშაკთა COVID-19-ით ინფიცირების მაღალი მაჩვენებელი, არის მკაცრი გაფრთხილება ჩვენი ქვეყნისთვის და მთელი მსოფლიოსთვის.

თანამშრომლობის მიზანი:

- წვერი ქვეყნების საექთნო დარგის წარმომადგენელთა სწავლება, გამოცდილების გაზიარება და ძირითადი რეკომენდაციების შემუშავება;
- განვითარებად და დაბალშემოსავლიან ქვეყნებზე მორგებული, საგანგებო მდგომარეობებში საექთნო სამსახურების რეაგირების, ეფექტური სტრატეგიული გეგმის შემუშავება/განხორციელების სწავლება - რეკომენდაციების გაზიარება;
- COVID 19 ინფექციის გავრცელების ტემპისა და მასშტაბების შემცირება, საექთნო დარგობრივი ორგანიზაციების როლის განსაზღვრა, გლობალური ლიდერობის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა;
- საერთაშორისო სამუშაო ჯგუფის ფორმირება , გადაუდებელი მდგომარეობების მართვის პოლიტიკის განსაზღვრისა და უსაფრთხო საექთნო პრაქტიკის სტანდარტების შემუშავების მიზნით;
- სასწავლო საგანმანათლებლო რესურსების გაზიარება (გაიდლაინები, პროტოკოლები) ;
- დისტანციური საგანმანათლებლო და სამუშაო პროცესის სწავლება;

ნაციონალური ორგანიზაციების ლიდერებმა , რომელთაც აქვთ ვირუსის გავრცელების შემთხვევების მაღალი მაჩვენებლები, წარმოადგინეს დარგის გამოცდილება:

მთავარი სპიკერები:

1. საერთაშორისო საექთნო საბჭო - პრეზიდენტი ანეტ კენედი;
2. საერთაშორისო საექთნო საბჭო - აღმასრულებელი დირექტორი ბატონი ჰოვარდ კატონი;
3. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია - მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მთავარი ექთანი (chef Nurse Officer) - ელიზაბეტ აირო;
4. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია- ქალბატონი ქეთრინ კეინი;

მოწვეული სპიკერები, ICN -ის წევრი , ეროვნული ასოციაციები:

1. ტაივანის ექთნების ასოციაცია- პრეზიდენტი დოქტორი ვანგი;
2. ჩინეთი ექთნების ასოციაცია - პრეზიდენტი, დოქტორი ვუ;
3. კორეის ექთნების ასოციაცია - პრეზიდენტი დოქტორი შინი;
4. ესპესპანეთის საექთნო სკოლა - გენერალური მდივნის მოადგილე - ბატონი ხოსე ლუის კობოსი;
5. იტალიის ექთნების ასოციაცია - პრეზიდენტი ბატონი ვალტერ დე კარო;
6. შვეიცარიის ექთნების ასოციაცია- საექთნო განვითარების დეპარტამენტის უფროსი - ქალბატონი როს ვიტა კოჩი;

საერთაშორისო ორგანიზაციების დარგის სპეციალისტთა მიერ მოწოდებული რეკომენდაციების , გამოცდილების საფუძველზე , ჩვენი გუნდის დარგის სპეციალისტთა მიერ შემუშავდა 10(ათი) ტოპ რეკომენდაცია:

საქართველო მსოფლიოს დიდი გუნდის წევრია, 2020 წელი ექთნებისა და ბებიაქალების წლად არის გამოცხადებული WHO – 2020;

საექთნო და ბებიაქალთა პროფესიის განვითარება და მეტი ახალგაზრდა ლიდერთა მომზადების ხელშეწყობა მსოფლიო პოლიტიკური პრიორიტეტია - WHO 2020;

იტალიის ჯანდაცვის მუშაკები, რომლებიც მსხვერპლად სწირავენ საკუთარ ჯანმრთელობას COVID-19- ის წინააღმდეგ ბრძოლაში, განიცდიან დამცავი აღჭურვილობის დეფიციტს, რაც საჭიროა მათივე უსაფრთხოებისთვის. ექთნების საერთაშორისო საბჭო (ICN) და იტალიის ექთნების ასოციაცია (CNAI) გვაფრთხილებენ იმ მძიმე შედეგების შესახებ, რომელიც დადგება თუ არ ვ უზრუნველყოფთ პერსონალური დაცვის აღჭურვილობებით იმ ექთნებს, რომლებიც ჩართულნი იქნებიან COVID-19-ით ინფიცირებული პაციენტების მკურნალობაში; თუ არ მოვახდენთ სამედიცინო პერსონალის სამუშაო გრაფიკის სწორ შერჩევას და მათი, როგორც პოტენციურად ინფექციის მატარებლების იზოლირებას;

საექთნო პერსონალისა და მათი კოლეგების უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის მოწოდებულია შემდეგი რეკომენდაციები:

1. საექთნო პროფესიული საკოორდინაციო ჯგუფის შექმნა - წითელი ჯვარი, დარგობრივი ორგანიზაციები(პირველადი ჯანდაცვის მიმართულება და ჰოსპიტალური სექტორი) , სამთავრობო მარეგულირებელი ორგანო (პროფესიული საბჭო) და თავდაცვის მიმართულება(სამხედრო საექთნო სექტორი) (იტალია, ესპანეთი)

ფუნქცია:

- ქვეყანაში საგანგებო სიტუაციების დროს საექთნო საქმიანობის მართვის სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შემუშავება / განხორციელება;
 - მონაცემთა ბაზის შემუშავება შემდგომი სამოქმედო სტრატეგიული გეგმის განსაზღვრისთვის, ქვეყანაში უსაფრთხო საექთნო პრაქტიკის დანერგვის მიზნით, საგანგებო მდგომარეობების დროს;
2. საექთნო სახელმწიფო სტრუქტურული ცენტრალური და რეგიონალური ერთეულების გაძლიერება (ჩვენს შემთხვევაში ალბათ ჩამოყალიბება , რადგან ქვეყანაში არ არსებობს საექთნო პროფესიის მართვის ცენტრალური სამთავრობო სტრუქტურა) (იტალია) ,
ფუნქცია:
 - ჰოსპიტალურ სექტორში სამუშაო პროცესის ორგანიზება/კონტროლი რეგულაციების დანერგვა/ სწრაფი კოორდინირება - ამ ფუნქციის შესრულება შესაძლოა ამ ეტაპზე განახორციელოს დარგობრივი ორგანიზაციების რეგიონალურმა და ცენტრალურმა ოფისებმა (ჰოსპიტალურ სექტორთან კოორდინაცია, საექთნო პერსონალის მობილიზება, მომზადება, პროფილის შესაბამისად სელექცია, გადნაწილება/კონტროლი)

3. სამედიცინო პერსონალი რომელიც მუშაობს COVID 19 - ით ინფიცირებულთათვის განკუთვნილ კლინიკებში , არ უნდა გადაადგილდებოდეს საზოგადოებაში და უნდა მოხდეს მათი თვით იზოლაცია (პერსონალისათვის განკუთვნილი სასტუმროებში 14 დღე, რათა არ გაიპაროს რეკომენდაციების დარღვევის შემთხვევები);
4. ინფექციის კონტროლისათვის სჭირო პერსონალური დაცვის აღჭურვილობების უწყვეტი მომარაგება, ინფრასტრუქტურული /ლოგისტიკური მოწყობა უსაფრთხოების სტანდარტის შესაბამისად;
5. პრიორიტეტულია რესურსების მიზნობრივი და რაციონალური გამოყენების პოლიტიკის შემუშავება და ქვეყნის კონტროლი , როგორც სამედიცინო პერსონალის ასევე საზოგადოების წევრების შემთხვევაში;
6. ინტენსიური სწავლება/ ინსტრუქტაჟი ფოკუსირებული კონკრეტულ პრაქტიკულ საქმიანობებზე - დისტანციური ონლაინ მეთოდების გამოყენებით და პრაქტიკული სწავლება - PPE გამოყენების წესი , სამედიცინო პერსონალისათვის არასამუშაო გარემოში(საკარანტინო ზონებში/სასტუმროებში , სადაც მორიგეობების შემდეგ 14 დღით იზოლაციაში იმყოფებიან), დროის ეფექტურად გამოყენება იმ ქვეყნებში სადაც ჯერ ინფექციის გავრცელების მაჩვენებელი არ არის კრიტიკულ ზღვარზე;
7. რესურსების (ადამიანური, მატერიალურ/ტექნიკური) სწორი, მიზნობრივი და რაციონალური გადანაწილება სამედიცინო და არასამედიცინო სექტორებში;
8. პერსონალური დაცვის საშუალებების ადეკვატური რაოდენობების უზრუნველყოფა აუცილებელია სხვა ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებებშიც, ჩვენი კოლეგებისა და საზოგადოების წარმომადგენელთა უსაფრთხოებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ინფექციის სწრაფი გავრცელება მოხდება იმ სავადმყოფოებიდან , რომლებიც არ არის განკუთვნილი COVID 19 - ით ინფიცირებულთა მისაღებად და შესაბამისად ნაკლები ყურადღება ექცევა რესურსების მარაგებისა და სამუშაო პროცესის კონტროლს;
9. რეკომენდაციების სწორი შესრულების კონტროლი/ადმინისტრაციული მართვის სისტემის დანერგვა (მობილური საკოორდინაციო ჯგუფების მომზადება) - საკარანტინო ზონებში და კლინიკებში;
10. საექთნო პერსონალს (ყველა სამედიცინო პერსონალს)ჩაუტარდეთ ტესტირება ვირუსზე; (იტალია, ჩინეთი, კორეა, ესპანეთი, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია; შვეიცარია, საერთაშორისო საექთნო საბჭო).

ჩვენი მთავარი ამოცანაა თავიდან ავიცილოთ იტალიის სცენარების განვითარების რისკები და მაქსიმალურად სწრაფად მოვახდინოთ სტრატეგიული გეგმის შემუშავება /განხორციელება საექთნო პერსონალის მობილიზებისა და მომზადების მიმართულებით.

ბოლო მონაცემებით, ჯანდაცვის მუშაკები იტალიის COVID-19 შემთხვევების 9% -ს შეადგენენ, მათ შორის არიან ექთნებიც.

ადარ ვსაუბრობთ ჩვენი ქვეყნის ძირითად ფუნდამენტურ პრობლემებზე, რომელიც ახალი არ არის და საჭიროებს საექთნო პროფესიის განვითარების მიმართულებით რიგი რეფორმების გატარებას; ახლა ისე როგორც არასდროს გვჭირდება სწრაფი და ეფექტური ნაბიჯების გადადგმა კოლეგების უსაფრთხოების დასაცავად, რადგან ინფექციების მაღალი დონე ექთნებსა და ჯანდაცვის სხვა პერსონალს შორის არის სერიოზული შეშფოთების მიზეზი, იქედან გამომდინარე რომ, ინფიცირებული მუშაკები უნდა დარჩნენ იზოლაციაში არანაკლებ 14 დღის განმავლობაში, რაც კიდევ უფრო მეტად შეამცირებს პერსონალის ისედაც მცირე რაოდენობებს.

ამ ვირუსით "საქართველო არის ომში ჩართული". კლინიკები ჯერ არ არის გადატვირთული თუმცა სავარაუდო შედეგების პროგნოზირება უკვე შეგვიძლია, ამაზე ჩვენი სტატისტიკაც და სხვა ქვეყნების გამოცდილებაც მიუთითებს; კლინიკებში შექმნილია საექთნო და დასუფთავების სამსახურის პერსონალის დეფიციტი. ეს პრობლემა გამოიწვია რამოდენიმე ფაქტორმა:

1. საგანგებო მდგომარეობის გამო ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვამ - სამუშაოს თითქმის გამოეთიშა ის სეგმენტი, რომელიც რეგიონებიდან მგზავრობდნენ;
2. მარნეულის საკარანტინო ზონებში პერსონალის იზოლირებამ;
3. თვითიზოლაციის პირობებში მყოფი პერსონალი;
4. პერსონალი რომელიც მუშაობს COVID 19 -ით ინფიცირებულთათვის განკუთვნილ კლინიკებში არ უნდა გადაადგილდებოდეს/მუშაობდეს პარალელურად სხვა კლინიკებში - ეს ფაქტორი თითქმის 50% საექთნო პერსონალს ეხება, შესაბამისად პრობლემა უკვე სახეზეა;

საორგანიზაციო ჯგუფის მიერ შემდგომი თანამშრომლობის ფორმატი განიხილება და წარმოდგენილი იქნება, ჩვენი ორგანიზაციის ვებგვერდზე. მიადევნეთ თვალყური ჩვენს სიახლეებს, იაქტიურეთ და ერთად შევცვალოთ უკეთესობისკენ ის რაც არ მოგვწონს ის, რაც აზარალებს ჩვენს პროფესიას და ეწინააღმდეგება ჩვენს პროფესიულ ღირებულებებს. ჩვენ ერთად ვქმნით მომავლის ექთანს საქართველოში!

ინტერნეტ რესურსები:

1. <https://www.icn.ch/news/new-icn-report-aims-improve-nurses-disaster-preparedness-response-and-recovery>;
2. <https://www.youtube.com/watch?v=2Si4UKmNGO8&feature=youtu.be>;
3. <https://openwho.org/courses>
4. <https://www.youtube.com/watch?v=Hd4T-0Lf2fw>
5. <https://bit.ly/2UHmOXB>
6. <https://bit.ly/2QUEiyS>
7. <https://www.icn.ch/>
8. <https://www.youtube.com/watch?v=2Si4UKmNGO8&feature=youtu.be>
9. <https://openwho.org/courses>

ა(ა) იპ ექთანთა გაერთიანება 2020წ;

Web: <http://www.nof.ge/ka/>

Mail: info@nof.ge